საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 66
23/12/2019

66-07-4-201912231643

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №66
2019 წლის 23 დეკემბერი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61–ე მუხლის მე–2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილების და „მუნიციპალიტეტებისთვის გრანტის მიღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 განკარგულების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროექტის (UNDP) ფარგლებში მიიღოს გრანტი (პროექტი: რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD) -ფაზა 2; მუნიციპალიტეტების ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამა; პროექტი-„ტურისტული მარშუტები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საშუალომთიანი თემების ეკონომიკური გაძლიერებისთვის).

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო